ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

7 აგვისტო 2024

N112134

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს "არსიმპექსი”-ს მიერ წარდგენილ ანგარიშგებაზე

ხარვეზის დადგენის შესახებ

შპს "არსიმპექსი”-ს მიერ (შემდგომ - სუბიექტი, ს/ნ 206333715, მისამართი: ქ.თბილისი, წერეთლის გამზირი 141ა) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს (შემდგომ - სამსახური) 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგება 2024 წლის 15 ივლისს წარედგინა.

სუბიექტის მიერ წარდგენილი ინფორმაციის თანახმად, იგი წარმოადგენს IV კატეგორიის საწარმოს.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამსახურმა განახორციელა წარდგენილი ანგარიშგების კანონითა და „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის №ნ-6 ბრძანებით დამტკიცებული წესით (შემდგომ - წესი) დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმება და გამოარკვია:

წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „ანგარიშგების დამატების ღილაკზე დაჭერის შემდეგ ივსება შემდეგი ინფორმაცია: სუბიექტის საანგარიშგებო პერიოდის შესახებ“. სუბიექტის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ჩანართში მითითებული მონაცემი არ არის სწორი.

კანონის მე-9 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, წესის მე-20 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სუბიექტს დაუდგინდეს ხარვეზი და მის აღმოსაფხვრელად განესაზღვროს 10 სამუშაო დღე.
2. სუბიექტის მიერ მითითებული ხარვეზის აღმოუფხვრელობა გამოიწვევს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.
3. ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ.თბილისი, გორგასლის N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხვედველობის სამსახური